

შპს. „გდგ“

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-iv

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში

ათწილადი აღინიშნება წერტილით („.“) და დაჯგუფება - მძიმით („.“)

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გდგ“-ს, (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდგენილი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი



RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გდგ“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გდგ“-ს (ფასს-ის პირველადი დამწერგავი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა მოსაზრების საფუძველის აზრადში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიაში შემავალი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors

European
Business
Awards™

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მათი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებაში ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით რომ გავცნოთ *სხვა ინფორმაციას* და შევფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია *სხვა ინფორმაცია* ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

სხვა გარემოებათა აბზაცი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“) და ვინაიდან წინა წლების შესადარისი მონაცემები არ არის აუდიტებული, ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები იმაში დასარწმუნებლად, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცსა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიში უნდა დაიწეროს და წაკითხულ იქნეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს „გდგ-მ“ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც ნაჩვენებია ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებული და დამოწმებულია ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ

მოსაზრება გამოვთქვამთ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.


მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

20 სექტემბერი 2019

არ ეს ემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia




შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	14	94,900,818	99,495,315
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(91,836,040)	(95,383,994)
საერთო მოგება		3,064,778	4,111,321
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,223,545)	(1,449,756)
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები	17	(696,511)	(758,640)
საოპერაციო მოგება		144,722	1,902,925
საპროცენტო ხარჯი	12	(1,709,394)	(2,202,839)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ბარალი	19	(1,501,680)	1,337,477
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18	2,660,160	600,166
მოგება დაბეგვრამდე		(406,192)	1,637,729
მოგების გადასახადი	11	-	-
წლის მოგება		(406,192)	1,637,729
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში			-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		(406,192)	1,637,729

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	20,432	5,780
არამატერიალური აქტივები	8	13,044	25,794
სულ გრძელვადიანი აქტივები	33,476	31,574	55,016
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	26,453,089	18,018,979
დებიტორული დავალიანება	4	11,594,573	29,099,703
საგადასახადო აქტივი	5	163,781	133,126
ფული და ფულის ექვივალენტები	3	26,300	1,590,077
სხვა აქტივები	9	19,579	12,798
სულ მიმდინარე აქტივები	38,257,322	48,854,683	48,719,661
სულ აქტივები	38,290,798	48,886,257	48,774,677
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		7,070,834	7,477,026
სულ კაპიტალი	7,071,834	7,478,026	5,840,297
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	25,656,855
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	21,118,772	30,377,158
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	10,100,192	11,031,073
სულ მიმდინარე ვალდებულებები	31,218,964	41,408,231	17,277,525
სულ ვალდებულებები	31,218,964	41,408,231	42,934,380
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	38,290,798	48,886,257	48,774,677

დირექტორი

ლევან ლანდია

მთავარი ბუღალტერი

დენის ბოსიკოვი

1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გდგ“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გდგ“-ს (ფასს-ის პირველადი დამწერგავი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიაში შემავალი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მათი განვითარების მიმოხილვა;

- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებაში ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით რომ გავცნოთ *სხვა ინფორმაციას* და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია *სხვა ინფორმაცია* ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

სხვა გარემოებათა აბზაცი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“) და ვინაიდან წინა წლების შესადარისი მონაცემები არ არის აუდიტებული, ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები იმაში დასარწმუნებლად, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „*აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით*“ აბზაცსა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიში უნდა დაიწეროს და წაკითხულ იქნეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს „გდგ-მ“ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც ნაჩვენებია ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებული და დამოწმებულია ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „*აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით*“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის

შპს „გდგ“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

20 სექტემბერი 2019

არ ეს ემ საქართველო

მმართველი პარტნიორი:გიორგი კვინიკაძე

შპს „გდგ“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	20,432	5,780	6,018
არამატერიალური აქტივები	8	13,044	25,794	48,998
სულ გრძელვადიანი აქტივები		33,476	31,574	55,016
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	26,453,089	18,018,979	25,016,566
დებიტორული დავალიანება	4	11,594,573	29,099,703	17,989,199
საგადასახადო აქტივი	5	163,781	133,126	228,076
ფული და ფულის ექვივალენტები	3	26,300	1,590,077	5,474,667
სხვა აქტივები	9	19,579	12,798	11,153
სულ მიმდინარე აქტივები		38,257,322	48,854,683	48,719,661
სულ აქტივები		38,290,798	48,886,257	48,774,677
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,000	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		7,070,834	7,477,026	5,839,297
სულ კაპიტალი		7,071,834	7,478,026	5,840,297
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	-	-	25,656,855
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	25,656,855
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	21,118,772	30,377,158	7,022,834
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	10,100,192	11,031,073	10,254,691
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31,218,964	41,408,231	17,277,525
სულ ვალდებულებები		31,218,964	41,408,231	42,934,380
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		38,290,798	48,886,257	48,774,677

დირექტორი ლევან ლანდია _____

მთავარი ბუღალტერი დენის ბოსიკოვი

შპს „გდგ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	1,000	5,839,297	5,840,297
ფასს-ის დანერგვამდე				
კორექტირება		-	-	-
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		1,000	5,839,297	5,840,297
წლის მოგება		-	1,637,729	1,637,729
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	1,637,729	1,637,729
2017 წლის 31 დეკემბრის	10	1,000	7,477,026	7,478,026
წლის მოგება		-	(406,192)	(406,192)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(406,192)	(406,192)
2018 წლის 31 დეკემბრის	10	1,000	7,070,834	7,071,834

დირექტორი	ლევან ლანდია	_____
მთავარი ბუღალტერი	დენის ბოსიკოვი	_____

ქართულ ღარში

მთავარი ბუღალტერი დენის ბოსიკოვი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „გდგ“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 406058215 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 16 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის მოსკოვის გამზ. N31 ბ, სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედ“, კვიპროსი (ნომრით: HE356394).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი შეადგენდა 72 ადამიანს (2017:44; 2016:42).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს პერიოდებზე დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების მომსაზადებლად მენაჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების ისევე როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის რათა მოემზადებინა ფასს-თან სრულად შესაბამისობაში მყოფი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

23-ე განმარტებით შენიშვნაში ახსნილია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

განმარტებითი შენიშვნები

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი (ლარი).

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი სტანდარტები რომლებიც არ შესულა ძალაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწვიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის მიწოდება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი საქონელზე, აღიარება ხდება საქონლის გადაცემის მომენტში.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც ხდება მისი მიღება ან წარმოიქმნება გადახდების მიღების უფლება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

განმარტებითი შენიშვნები

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა

2 – 5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ბალანსიდან მოხსნა ხდება როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 1-5 წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - ინდივიდუალური ფასის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხარჯი განისაზღვრება კონკრეტული პარტიის შეძენის ფასის მიხედვით რომლიდანაც იქნა გასხვისებული სასაქონლო მატერიალური მარაგი. მატერიალური ფასეულობების ხარჯის განსაზღვრად კომპანია პარტიის თვითღირებულებას აკორექტირებს არაპირდაპირი ხარჯებით რომელიც ნაწილდება პროპორციულად პარტიის მთლიან რაოდენობაზე. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარგები.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებასა და მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ცვთის პოლიტიკა ვრცელდება საკუთრებაში გადასულ აქტივზე. შედეგად აღიარებული ცვთა გამოითვლება ძირითად საშუალებებზე დადგენილი გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გონივრული საფუძველი იმის დასადგენად რომ საიჯარო პერიოდის ამოწურვის შემდეგ მოიჯარა მიიღებს საკუთრების უფლებას აქტივი სრულად გაიცვითება საიჯარო ხელშეკრულებასა და გამოყენების ხანგრძლივობას შორის უმცირესით.

საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ნაწილი აღიარდება მოგება ბარალში იჯარის პერიოდის შესაბამისად მიმდინარე ფინანსური სალიზინგო ბალანსის მუდმივი საპროცენტო განაკვეთით.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ბარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული ნახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეყნარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების მეთოდები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც განეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით

განმარტებითი შენიშვნები

აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაციი ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

ფინანსური აქტივები

(i) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხორციელდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით.

- *შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით*
- *შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან*
- *შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული*

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია

განმარტებითი შენიშვნები

გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

	მიმდინარე	30 დღ. ნაკლები ვადაგ.	31 – 60 დღე ვადაგ.	61-90 დღე ვადაგ.	91-180 დღე ვადაგ.	180 დღეზე მეტი ვადაგ.
დარეზერვების პროცენტულობა	0,5%	2%	5%	20%	30%	100%

აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- შესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

განმარტებითი შენიშვნები

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

განმარტებითი შენიშვნები

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940	3.2579
2018 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.5345	3.3812	2.9913
2017 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.5086	2.8322	3.2315
2016 წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2.3667	2.6172	3.2051

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

შპს. „გდგ“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

3 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	6,356	1,581,037	3,796,673
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	18,684	7,527	88,909
ფული სალაროში	1,260	1,513	1,005
დაბლოკილი ფულადი სახსრები	-	-	1,588,080
სულ	26,300	1,590,077	5,474,667

ფული საბანკო ანგარიშზე განთავსებულია მიმდინარე ანაბარზე.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის მატერიალური სხვაობა არ არის.

გაცვლითი კურსის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე იხილეთ შენიშვნა 19-ში

4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
სავაჭრო მოთხოვნები	12,234,209	29,410,124	17,989,199
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები	(639,636)	(310,421)	
სულ	11,594,573	29,099,703	17,989,199

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	310,421
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	310,421
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	329,215
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	639,636

გემოთ წარმოდგენილ შენიშვნაში არ არის გათვალისწინებული 3,824,134 ლარის ოდენობით (2017:18,437,152 ლარი) ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე შესაქმნელი ანარიცხები რომლის ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში და რომლის მიღება და აღდგენაც მოხდა 2019 წლის 21 აგვისტომდე პერიოდში, შესაბამისად მენეჯმენტმა არ შექმნა ანარიცხები აღნიშნულ მოთხოვნებზე.

შპს. „გდგ“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის ხანდაზმულობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რომლებზეც არ მოხდა ანარიცხების შექმნა

	მიმდინარე	30 დღ. ნაკლები ვადაგ.	31 – 60 დღე ვადაგ.	61-90 დღე ვადაგ.	91-180 დღე ვადაგ.	180 დღეზე მეტი ვადაგ.
2019 წლის 21 აგვისტომდე ჩარიცხული თანხები		1,457,345	307,191	425,854	-	1,633,744

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის ხანდაზმულობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რომლებზეც არ მოხდა ანარიცხების შექმნა

	მიმდინარე	30 დღ. ნაკლები ვადაგ.	31 – 60 დღე ვადაგ.	61-90 დღე ვადაგ.	91-180 დღე ვადაგ.	180 დღეზე მეტი ვადაგ.
2018 წლის 8,827,258 განმავლობაში ჩარიცხული თანხები		5,865,887	1,684,808	1,843,238	192,956	23,004

გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იხილეთ შენიშვნა 19-ში

5 მოთხოვნები ბიუჯეტიდან

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივმა შეადგინა 163,781 ლარი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 133,126 ლარი და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 228,076 ლარი, რომლებიც წარმოადგენს წინასწარ გადახდილ დღგ-ს და კომპანიას აქვს აღნიშნული თანხის ჩათვლის უფლება.

6 მარაგები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
საბაჟო აღრიცხვაზე აყვანილი საქონელი	17,814,220	10,625,178	10,625,178
მარაგები გზაში	8,638,869	7,393,801	14,325,126
სულ	26,453,089	18,018,979	25,016,566

მარაგები გზაში დაზღვეულია 6,580 ლარად (2017: 6,113 ლარი)

შპს. „გდგ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

7 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	150	25,466	25,616
შეძენა	-	5,587	5,587
გასხვისება	-	(2,979)	(2,979)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150	28,074	28,224
შეძენა		21,431	21,431
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150	49,505	49,655
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	150	19,448	19,598
ცვეთის ხარჯი	-	5,411	5,411
გაყიდული ქონების ცვეთა	-	(2,565)	(2,565)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150	22,294	22,444
ცვეთის ხარჯი	-	6,779	6,779
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150	29,073	29,223
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	6,018	6,018
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	5,780	5,780
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	20,432	20,432

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

შპს „გდგ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

8 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და სხვა	სულ
ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	113,872	113,872
შეძენა	3,830	3,830
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	117,702	117,702
შეძენა	6,547	6,547
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124,249	124,249
ამორტიზაცია და გაუფასურება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	64,874	64,874
ამორტიზაციის ხარჯი	27,034	27,034
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	91,908	91,908
ამორტიზაციის ხარჯი	124,250	124,250
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	111,205	111,205
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	48,998	48,998
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25,794	25,794
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,044	13,044

კომპანიის ბალანსზე არსებული ლიცენზიები მოიცავს მაიკროსოფტ ოფისის გამოყენების უფლებებს.

9 სხვა აქტივები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	01-იან-17
წინასწარ გაწეული ხარჯები	19,579	12,798	11,153
სულ სხვა აქტივები	19,579	12,798	11,153

კომპანიის მიერ წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს ქონების დაზღვევის ხარჯებს 19,575 ლარს (2017: 12,798 ლარი; 2016: 11,153 ლარი), რომელიც აღიარდება პროპორციულად პერიოდების შესაბამისად.

10 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1,000 ლარს, რომლის გადახდაც განხორციელდა 2011 წლის 18 ნოემბერს საბანკო გადარიცხვით. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედი(100%), რომელიც მდებარეობს კვიპროსში.

განმარტებითი შენიშვნები

11 მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვერის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის საგადასახადო პერიოდიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ იქნება აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. გამომდინარე იქედან რომ საანგარიშგებო პერიოდში კომპანია პირველად ნერგავს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა ფასს 1-ის თანახმად გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენება, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს არ მოახდინოს პირობითი გადასახადის რეტროსპექტიული გაანგარიშება.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კიდევ ერთი ცვლილება საგადასახადო კოდექსში რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან. გადაწყვეტილების მიხედვით ავანსად მიღებული შემოსავლები წარმოადგენს დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციას.

12 მიღებული სესხები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
მოკლევადიანი სესხები	21,118,772	30,377,158	7,022,834
გრძელვადიანი სესხები	-	-	25,656,855
სულ	21,118,772	30,377,158	30,679,689

შპს „გდგ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ წარმოდგენილია ნაშთი მიღებულ მოკლევადიან სესხებზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
East Invest Limited	11-აგვ-15	31-დეკ-18	8%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	10,714,635
თიბისი ბანკი	28-სექ-16	28-სექ-19	8%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	ლარი	10,398,439
ჭიდი დეველოპმენტი	10-იან-14	31-დეკ-15			მოთხოვნისას		5,698
სულ მიღებული სესხები							21,118,772
ძირითადი თანხა							16,253,057
გადასახდელი პროცენტი							4,865,715
სულ მიღებული სესხები							21,118,772

შპს „გდგ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ წარმოდგენილია ნაშთი მიღებულ მოკლევადიან სესხებზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
East Invest Limited	11-აგვ-15	31-დეკ-18	8%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	28,816,280
თიბისი ბანკი	28-სექ-16	28-სექ-19	8%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	ლარი	1,420,950
ფიზ. პირი	10-იან-14	31-დეკ-15	10.5%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	139,928
სულ მიღებული სესხები							30,377,158
ძირითადი თანხა							27,077,804
გადასახდელი პროცენტი							3,299,354
სულ მიღებული სესხები							30,377,158

შპს „გდგ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ წარმოდგენილია ნაშთი მიღებულ მოკლევადიან სესხებზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
East Invest Limited	11-აგვ-15	31-დეკ-18	8%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	2,926,353
თიბისი ბანკი	28-სექ-16	28-სექ-19	8%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	ლარი	3,668,548
ფიზ. პირი	10-იან-14	31-დეკ-15	10.5%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	427,933
სულ მიღებული სესხები							7,022,834
ძირითადი თანხა							4,045,710
გადასახდელი პროცენტი							2,977,124
სულ მიღებული სესხები							7,022,834

ქვემოთ წარმოდგენილია ნაშთი მიღებულ მოკლევადიან სესხებზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
East Invest Limited	11-აგვ-15	31-დეკ-18	8%	მოთხოვნისას	მოთხოვნისას	დოლარი	25,656,855
სულ მიღებული სესხები							25,656,855
ძირითადი თანხა							25,656,855
გადასახდელი პროცენტი							-
სულ მიღებული სესხები							25,656,855

განმარტებითი შენიშვნები

მიღებული სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, რომელიც დაიხურება 2020 წლის 28 სექტემბერს. საკრედიტო ხაზის გამოყენებული ნაწილის დაფარვა უნდა განხორციელდეს თანხის გამოყენებიდან 3 თვის განმავლობაში.

შპს. „გდგ“-სა და შპს „East Invest Limited“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი უნდა დაიფაროს გამსესხებლის მოთხოვნისთანავე ან სესხის სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი კომპანიის აქტივებით. გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 343,104 ლარი (2017: 1,700,421)

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
სავაჭრო მოთხოვნები	10,100,192	11,031,073	10,254,691
სულ	10,100,192	11,031,073	10,254,691

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისთვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც განეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გაანალიზებული ვალუტის მიხედვით იხ შენიშვნა 19-ში.

14 შემოსავალი

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით.

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
რეალიზაცია საქართველოში	70,095,126	60,772,627
რეალიზაცია საზღვარგარეთ	24,805,692	38,722,688
სულ შემოსავალი	94,900,818	99,495,315

შპს „გდგ“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი სამომხმარებლო ბაზრის ტიპისა და სხვა კატეგორიების მიხედვით განმარტებულია ქვემოთ:

	ექსპორტი	სადისტრიბუციო კომპანიები	სულ
გადაცემის დრო			
დროის გარკვეულ მომენტში	24,805,692	70,095,126	94,900,818
კონტრაქტის ტიპი			
ხელშეკრულების გარეშე	24,805,692	70,095,126	94,900,818

2017 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი სამომხმარებლო ბაზრის ტიპისა და სხვა კატეგორიების მიხედვით განმარტებულია ქვემოთ:

	ექსპორტი	სადისტრიბუციო კომპანიები	სულ
გადაცემის დრო			
დროის გარკვეულ მომენტში	38,722,688	60,722,627	99,495,315
კონტრაქტის ტიპი			
ხელშეკრულების გარეშე	38,722,688	60,722,627	99,495,315

15 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით, შესაბამისად ხარჯები დაკავშირებულია საქონლის შეძენასა და მიწოდებასთან

	31-დეკ-18	31-დეკ-17
რეალიზაცია საქართველოში	68,795,699	59,801,29
რეალიზაცია საზღვარგარეთ	23,040,341	35,582,69
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	91,836,040	95,383,99

განმარტებითი შენიშვნები

16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სახელფასო ხარჯი	1,080,164	885,615
რეკლამის ხარჯი	481,155	-
საკონსულტაციო ხარჯი	102,132	60,897
იჯარის ხარჯი	76,079	76,087
მივლინების ხარჯი	37,232	19,243
საბანკო ხარჯი	33,473	7,643
ცვეთა და ამორტიზაცია	26,077	32,445
კომუნალური ხარჯი	16,395	14,818
დაზღვევის ხარჯი	12,780	19,843
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	329,215	310,421
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	28,843	22,745
სულ	2,221,952	1,423,349

17 სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები

	31-Dec-18	31-Dec-17
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	599,428	589,878
დასაწყობების ხარჯები	-	105,157
სხვა ხარჯები	97,083	64,537
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	696,511	759,572
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	932
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	932
სულ წმინდა საოპერაციო ხარჯი	696,511	758,640

18 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი

	2018	2017
სხვა არასაოპერაციო შემოსავალები	2,686,815	609,439
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(26,655)	(9,273)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,660,160	600,166

სხვა არასაოპერაციო მოგება შეიცავს მომწოდებლებისგან მიღებულ სარგებელს, ხელშეკრულების თანახმად. კომპანიის მომწოდებლები იყენებენ კლიენტების წახალისების პოლიტიკას. პოლიტიკის

შპს „გდგ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

შესაბამისად შპს „გდგ“ მომწოდებელი კომპანიის გადანაცვებით პერიოდის განმავლობაში საბანკო ანგარიშზე უბრუნებს გადარიცხული საქონლის ღირებულების ნაწილს. მომწოდებელი კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად შპს „გდგ“ უსასყიდლოდ იღებს გარკვეული ოდენობის საქონელს და ასევე გარკვეულ შემთხვევებში მომწოდებლის მიერ ხდება თანხის უკან დაბრუნება

2018 წლის სხვა არასაოპერაციო ხარჯი მოიცავს ქველმოქმედების ხარჯს 20,000 ლარის ოდენობით.

19 კურსთაშორის სხვაობა

	2018	2017
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	5,397,514	9,979,188
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(6,899,194)	(8,641,711)
სულ წმინდა კურსთაშორის სხვაობა	(1,501,680)	1,337,477

	2018	2017
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(6,899,194)	(8,641,711)
ფული და ფულის ექვივალენტები	(247,976)	(541,694)
მოთხოვნები	(2,384,310)	(2,270,720)
სხვა აქტივები	(971)	(1,181)
ვალდებულებები	(1,083,786)	(1,632,318)
სესხები	(3,182,151)	(4,195,798)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	5,397,514	9,979,188
ფული და ფულის ექვივალენტები	151,569	376,562
მოთხოვნები	1,606,033	2,654,537
სხვა აქტივები	1,013	2,674
ვალდებულებები	1,140,598	2,113,836
სესხები	2,498,301	4,831,579
სულ	(1,501,680)	1,337,477

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია საზღვარგარეთ მყოფ მომწოდებლებთან და კლიენტებთან, კურსთაშორის სხვაობა გამოიწვია საქონლის ყიდვა-გაყიდვამ.

20 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

2013 წლის ივლისში კომპანიამ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება შპს „გდ გრუფ“-თან, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებს მოქმედების ვადა განუსაზღვრელია და შეწყვეტა შესაძლებელია მხარეების ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიამ იჯარით აიღო საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად

განმარტებითი შენიშვნები

ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 2,500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი მინიმალური ჯამური ოდენობა ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 76.035 ლარს (2017:77,766)

საოპერაციო იჯარის ხარჯმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 76,079 ლარი (2017:76.087)

21 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - ფასიანი ქაღალდების რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	26,300	1,590,077	5,474,667
დებიტორული დავალიანება	11,594,573	29,099,703	17,989,199
სულ ფინანსური აქტივები	11,620,873	30,689,780	23,463,866
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	21,118,772	30,377,158	32,679,689
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,100,192	11,031,073	10,254,691
სულ ფინანსური ვალდებულებები	31,218,964	41,408,231	42,934,380

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად. აღნიშნული დონეები შემუშავებულია იმისთვის, რომ განისაზღვროს, რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	26,300		
დებიტორული დავალიანება			11,594,573
სულ	26,300	-	11,594,573
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	1,590,077		
დებიტორული დავალიანება			29,099,703
სულ	1,590,077	-	29,099,703
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	5,474,667		
დებიტორული დავალიანება			17,989,199
სულ	5,474,667	-	17,989,199

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-18	31-დეკ-17	31-დეკ-16
ფული და ფულის ექვივალენტები	26,300	1,590,077	5,474,667
დებიტორული დავალიანება	11,594,573	29,099,703	17,989,199

განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის (ფულადი ნაკადები ხელშეკრულებით და ფასდათმობის გარეშე) ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	26,300			26,300
სავაჭრო მოთხოვნები	11,594,573			11,594,573
სულ ფინანსური აქტივები	11,620,873	-	-	11,620,873
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	21,118,772			21,118,772
კრედიტორული დავალიანება	10,100,192			10,100,192
სულ ფინანსური ვალდებულებები	31,218,964	-	-	31,218,964
ლიკვიდურობის პოზიცია	(20,298,091)	-	-	(20,298,091)

ლიკვიდურობის დარღვევის მიზეზს წარმოადგენს შპს „East Invest Limited“-ის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულება, რომლის ძირითადი ნაწილი კომპანიამ დაფარა 2019 წელს, იხ. შენიშვნა N24. გარდა ამისა დამფუძნებელი გამოთქვამს სურვილს საჭიროების შემთხვევაში დაფაროს აღნიშნული სესხი მენეჯმენტის აზრით უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია არ წარმოადგენს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დარღვევის რისკს.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის (ფულადი ნაკადები ხელშეკრულებით და ფასდათმობის გარეშე) ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „გდგ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,590,077	-	-	1,590,077
სავაჭრო მოთხოვნები	29,099,709	-	-	29,099,709
სულ ფინანსური აქტივები	30,689,780	-	-	30,689,780
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	11,031,073	-	-	11,031,073
სესხები	30,377,158	-	-	30,377,158
სულ ფინანსური ვალდებულებები	41,408,231	-	-	41,408,231
ლიკვიდურობის პოზიცია	(10,718,451)	-	-	(10,718,451)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის (ფულადი ნაკადები ხელშეკრულებით და ფასდათმობის გარეშე) ანალიზი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,474,667	-	-	5,474,667
სავაჭრო მოთხოვნები	17,898,199	-	-	17,898,199
სულ ფინანსური აქტივები	23,463,866	-	-	23,463,866
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	10,254,691	-	-	10,254,691
სესხები	7,022,834	25,656,855	-	32,679,689
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,277,525	25,656,855	-	42,934,380
ლიკვიდურობის პოზიცია	6,186,341	(25,656,855)	-	(19,470,514)

სესხები შეიცავს საკრედიტო ინსტიტუტების საკრედიტო ხაზებს.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

შპს „გდგ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
ლარი	20,345	6,600	20,345
ევრო	-	1,309,250	-
აშშ დოლარი	5,955	8,676,353	8,682,709
გირვანქა სტერლინგი	-	1,602,370	1,602,370
სულ	26,300	11,594,573	11,620,873

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
ლარი	9,040	2,321,887	2,330,927
ევრო	478,791	9,860,547	10,339,338
აშშ დოლარი	969,574	15,156,054	16,125,628
გირვანქა სტერლინგი	132,675	1,761,216	1,893,888
სულ	1,590,077	29,099,703	30,689,780

ფინანსური აქტივები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
ლარი	1,677,994	1,970,273	3,648,267
ევრო	84,762	2,175,427	2,260,189
აშშ დოლარი	3,711,882	12,439,169	16,151,051
გირვანქა სტერლინგი	29	1,404,330	1,404,359
სულ	5,474,667	17,898,199	23,463,866

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

განმარტებითი შენიშვნები

	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
ლარი	1,694,247	2,238,365	3,434,397
ევრო	10,789,562	1,895,885	3,064,459
აშშ დოლარი	18,746,292	36,028,495	36,076,692
გირვანქა სტერლინგი	8,723	1,245,486	358,832
სულ	31,218,964	41,408,231	42,934,380

ეს ანალიზი მოიცავს წლიურ მოგებას და აკორექტირებს ლარის 10%-იან გამყარება/გაუფასურებას.

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2018 წლის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 1,371,755 ლარით (2017: 5,530,791; 2016: 1,449,434)

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2018 წლის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 1,195,935 ლარით (2017: 4,669,853; 2016: 1,373,071)

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება გირვანქა სტერლინგის მიმართ შეამცირებს/გაზრდის 2018 წლის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 1,517,147 ლარით (2017: 6,117,000; 2016: 1,690,090)

22 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციების მოცულობა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ტრანზაქციები:		
შემოსავალი	17,788,782	14,205,255

ზემოთ მოცემული ტრანზაქციები განხორციელდა იმავე პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები.

დავალიანების ნაშთი	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან -17
ნაშთები:			
დებიტორული დავალიანება	3,547,985	7,331,959	5,704,871
სესხები	-	139,928	427,933
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	100	100

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,588,080 ლარის მოთხოვნა შეტანილ იქნა თიბისი ბანკში შპს „GD Alko“-სგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. ფულის გამოყენება შემლუდულ იქნა სესხის დასრულების თარიღამდე, სესხი დაიფარა და შესაბამისად თანხა 2017 წლის იანვარში დაბრუნდა.

შპს „გდგ“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	31-დეკ-18	31-დეკ-17
ხელფასები და დანამატები	250,780	214,014

23 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არის პირველი, რომელიც მან ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

24 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შემდგომ პერიოდში კომპანიამ დაფარა შპს “East invest limited” სესხი 1,524,394 ლარის ოდენობით.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო ახალი სესხი “Arevako Investments Limited”-სგან 14,105,334 ლარის ოდენობით რომლიდანაც პერიოდის განმავლობაში დაფარულ იქნა სესხის ძირი 5,780,881 ლარის ოდენობით.



შპს. „გდგ“

კომპანიის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

სარჩევი

გვ.

1. კომპანიის განვითარების გეგმები.....	2
2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა	4
3. ორგანიზაციის ფილიალების შესახებ ინფორმაცია.....	4
4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	4
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	5
6. დამატებითი ინფორმაცია თანხების შესახებ რომელიც მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებებში.....	5
7. ორგანიზაციის : საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულის მოძრაობის რისკები და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.....	5
8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შეაბამისად.....	6

შპს. „გდგ“

მმართველობის ანგარიშგება

ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს. „გდგ.“ (კომპანია) არის სპეციალური სავაჭრო კომპანია, რომელიც დაარსდა საქართველოში 2011 წლის 11 ოქტომბერს, რომელიც მიზნად ისახავს ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციას როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

კომპანია დაკავებულია სხვადასხვა მომწოდებლების ფართო სპექტრის პროდუქციის რე-ექსპორტით და დისტრიბუციით. კომპანია ქირაობს საწყობს საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიას აქვს 7 წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს რე-ექსპორტის ბიზნესში წამყვან კომპანიას საქართველოში. 2018 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა - 94,900,818 ლარი. წმინდა ამონაგები 2018 წელს შეადგენდა 3.23%. კომპანიაში დასაქმებულია 72 ადამიანი.

კომპანიის სტრატეგია არის :

- თითოეულ კატეგორიაში, რომელშიც კომპანია ოპერირებს წამყვანი პოზიციების შექმნა და შენარჩუნება
- მუდმივი ბენჩმარკინგი და ეფექტურობის გაუმჯობესება თითოეულ ბიზნეს ერთეულში
- პორტფელის ყურადღებით გაფართოება, რათა უზრუნველყოს ზრდის ახალი ჰორიზონტები
- ლიდერთა და მათი გუნდების მოზიდვა და გაძლიერება,
- ლიდერთა და მათი გუნდების მოზიდვა და გაძლიერება, რათა შეძლონ გამორჩეული პერფორმანსის შესრულება.

2018 წლის განმავლობაში კომპანია აქტიურად მუშაობდა რამდენიმე პროექტის განხორციელებაზე, რომლებიცაა :

- 1) ახალი ERP (საწარმო რესურსების დაგეგმვა) პლატფორმის ჩაშვება, რომელსაც ემსახურება - Microsoft NAV Dynamics.

Microsoft NAV Dynamics – ეს არის მულტი-ენოვანი, მულტი-ვალუტური ბიზნეს მენეჯმენტის გადაწყვეტილებები, რომელიც ეხმარება პატარა და საშუალო ზომის კომპანიებს მსოფლიოს მასშტაბით მართონ ბუღალტერია და ფინანსები, მიწოდების ჯაჭვი და ოპერაციები.

ფინანსური მენეჯმენტი

Microsoft Dynamics NAV ფინანსური მენეჯმენტისთვის არის საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც ეხმარება გააკონტროლოს და მართოს ძირითადი საშუალებების მთელი სიცოცხლის ციკლი, მთავარი წიგნი, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, ანალიტიკური აღრიცხვა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი. Dynamics NAV - ის ფინანსური მენეჯმენტის ნაწილი კომპანიის მენეჯმენტს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს სოლიდური ფინანსირება რათა მოხდეს ფოკუსირება კომპანიის ზრდასა და განვითარებაზე.

მიწოდების ჯაჭვის მართვა

Microsoft Dynamics NAV-ის მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის ისეთ საქმიანობებს რეალური დროის ჭრილში, როგორიცაა : მარაგების რაოდენობები, ტრენდული / ტენდენციური რეპორტები და პროგნოზები, რათა დაეხმაროს კომპანიებს მოახდინონ მათი მიწოდების დაგეგმვის ოპტიმიზაცია დაწყებული პროდუქციის შეკვეთის და შეძენისგან და დასრულებული - მიწოდებით. Dynamics NAV - გვაწვდის გაძლიერებულ მიწოდების დაგეგმვის კონფიგურაციას, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ვაკონტროლოთ ეფექტურად დაგეგმვის შეთავაზებები და მოხდეს მიწოდების ოპტიმიზაცია მარაგების და შეკვეთის ღირებულების მიხედვით.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა

კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევების წარმოება.

3. ორგანიზაციის ფილიალების შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არა აქვს იურიდიული ფილიალები, ერთადერთი ოფისი მდებარეობს თბილისში.

ქვემოთ იხილავთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს სადაც ოპერირებს კომპანია :

1. საქართველო ;
2. აზერბაიჯანი ;
3. სომხეთი ;
4. ყირგიზეთი ;
5. უზბეკეთი ;
6. ბელორუსია ;
7. თურქმენეთი ;
8. მონღოლეთი ;

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდეგი :

		2018	2017
1	შემოსავალი	94,900,818	99,495, 315
2	საერთო მოგება	3,064,778	4,111,321
3	წმინდა მოგება	- 406,192	1,637,729
4	გროს-მარჟა	3.23%	4.13%
5	მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც განაპირობა შემოსავლის გაზრდა 2018 წელს, რომლებიცაა :

- არსებულ პორტფელში პროდუქციის პოზიციების ზრდა
- გაზრდილი საბაზრო წილი არსებულ პროდუქტების ჯგუფებზე.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდგომი :

		2018	2017
1	პროდუქციის პორტფელის რაო-ბა	25	24
2	თანამშრომელთა რაო-ბა	72	43
3	აქტიური კლიენტების რაო-ბა	19	17

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

2018 წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები. კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სრულად ფლობდა კომპანია შპს. „არევაკო ინვესტმენტს“-ი.

6. დამატებითი ინფორმაცია თანხების შესახებ რომელიც მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებებში.

2018 წელს კომპანიამ თავისი კრედიტორებისგან უკეთესი საკრედიტო პირობების მიღება დაიწყო.

7. ორგანიზაციის : საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულის მოძრაობის რისკები და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა.

კომპანიის გაყიდვების უმრავლესობა საკრედიტო პირობებით ხორციელდება. არსებობს რამდენიმე გამორჩეული და დასაშვები დებიტორული დავალიანება.

მომწოდებლებთან საკრედიტო პირობები მერყეობს 0-დან 90-მდე დღის შუალედში, მაგრამ მომწოდებლების უმრავლესობასთან მოქმედებს წინასწარ გადახდის პირობა. მარაგების საშუალო რაოდენობა 76,336 და 54,724 ყუთი იყო 2018 და 2017 წლებში შესაბამისად. მიმდინარე თანაფარდობა იყო 1.36 და 1.01 შესაბამისად 2018 და 2017 წელს.


8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ძირითადი რისკები და გაურკვევლობა დაკავშირებულია შემდგომთან :

	რისკის და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	პოლიტიკური რისკები - არასტაბილური პოლიტიკური გარემო შესაძლოა უარყოფითად აისახოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთონ პოტენციური განვითარების პროგნოზირება და მოახდინონ საჭირო და ადექვატური ცვლილებები.
2	სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვის ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაში ხდება, თუმცა გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს. ამის გამო, ფასების კორექტირება ასევე გამოწვევაა.	2018 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ მოახერხა აშშ დოლარის სახსრების მნიშვნელოვანი თანხის დაგროვება, რაც პოზიტიურად აისახა კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე ადგილობრივი სავალუტო დევალვაციის პერიოდში

დირექტორი

ლევან ლანდია



მომწოდებლებთან საკრედიტო პირობები მერყეობს 0-დან 90-მდე დღის შუალედში, მაგრამ მომწოდებლების უმრავლესობასთან მოქმედებს წინასწარ გადახდის პირობა. მარაგების საშუალო რაოდენობა 76,336 და 54,724 ყუთი იყო 2018 და 2017 წლებში შესაბამისად. მიმდინარე თანაფარდობა იყო 1.36 და 1.01 შესაბამისად 2018 და 2017 წელს.

8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შეაბამისად

ძირითადი რისკები და გაურკვევლობა დაკავშირებულია შემდგომთან :

	რისკის და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	პოლიტიკური რისკები - არასტაბილური პოლიტიკური გარემო შესაძლოა უარყოფითად აისახოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთონ პოტენციური განვითარების პროგნოზირება და მოახდინონ საჭირო და ადექვატური ცვლილებები.
2	სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვის ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაში ხდება, თუმცა გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს. ამის გამო, ფასების კორექტირება ასევე გამოწვევაა.	2018 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ მოახერხა აშშ დოლარის სახსრების მნიშვნელოვანი თანხის დაგროვება, რაც პოზიტიურად აისახა კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე ადგილობრივი სავალუტო დევალვაციის პერიოდში

დირექტორი

ლევან ლანდია
